...ბის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა — 1896—1902 — ოთხშაბათი, 6 თებერვალი — № 1718

ზეთი წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ... ტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ...ლის-მოსადაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურცლის“ რედაქციის კანტორაში ...ს დიდ. № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“ ტელეფონი № 372.

მიიღება ხელის-მოწერა 1902 წლისათვის

„მოამბე-ცნობის ფურცელ“-ზე

სურათებიანი დამატებით

ყოველთვიური ჟურნალი

„მოამბე“

(წელიწადი მეცხრე)

ჟურნალისა გაგზავნით:

კავკასია რუს	საზღვარ-გარეთ:
1 წლით 0 მ.	1 წლით . . 13 მ.
6 თვით 6 „	6 თვით . . 7 „
3 „ 3 „	3 „ . . 5 „

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეშვიდე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:	საზღვარ-გარეთ:
1 წლით . . 6 მ.	1 წლით . . 9 მ.
6 თვით . . 4 „	6 თვით . . 7 „
1 „ . . 75 კ.	1 „ . . 90 „

ვი...ე“-ს მთელის წლით გამოიწერს, **სურათებიანი დამატება** და „ც...ცელი“ უფასოდ გაეგზავნებად, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის დაუმატოს ერთი მან., რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი. ფასის განაწილება სამივე გამოცემაზე: პირველად—6 მან. ქალაქ-გარედ მცხოვრებთა 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ, 1-ლ აგვისტომდე—2 მ.

ვნის ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კ., მე-4-ზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

რედაქცია-კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქ., **ტელეფონი № 372.**

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели.“**

ექიმი

ვახ ლამბაშიძე

შინაგანის ბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს 9—11-მდე და საღამოს 5—7 ... რეუტის ქუჩა № 24

ტფილისის ...

გერმანულ ... ჟურნალ

[illegible]

...ოდ. ... ბ. ბარსეგ... ... 12— ...თობით, ოთხშაბ... საათამდე.

დ. ა. გედევანი... ...გან 12—1 საათამდე.

ნ. მ. ამბარდანი... ...დღეს 1—2

ხოლ. ფოინ... ...ოთხშაბათ და ...

ი. თუმანიშვილი... 5—6 საათამდე.

ა. მალალაშვილი... ...ბის 5-6 საათა...

დავით... ...ამდე.

...ლები—კვირა 10—12 ... არ გავრ... ისინი, ... ნლის ყველ... შეიწყნარა ...სა 5 კაპ.; ... დაყოფა ახალი ...ბით. ... ბაა საჭირო და ამის ... 9 სავაჭრო-სამეურნეო ... დადებისა, 1200 მან. ზედამხედველ პირების ... ექვსის თვის განმავლობა... უთხრა გამგეობას 1200 ...

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 7 თებერვალს, 1902 წ.

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ვ. ს. ალექსი-მესხიშვილის საბენეფისოდ

ვასო აბაშიძის მონაწილეობით

I

უპატრონონი

დრამა 3 მოქ. როვეტისა, თარგ. გალუსტოვის-მიერ.

II

კრეჩინსკის ქორწილი

...დია 3 მოქ. სუხოვო-კობილინისა, თარგ. ლუ...ლაძისა.

...ნაწილეობენ: ქ.ქ. გაბუნია-ცაგარლისა, ...აბაშიძე, ჩერქეზიშვილი, ლეჟავა, ნებიე..., მდივანი; ბ.ბ. ალექსი-მესხიშვილი, ...ძე, გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, ...ნოვი, ურუშაძე, მირიანაშვილი, იმედა..., სარჯველაძე და სხვ.

...სი 8 საათზე. ფასები ჩვეულებრივია.

...დდება: „მეფე ლირი“, „ორი გმირი“ და „ძალა აღმართსა ხნავს“.

რეჟისორი **ვ. გუნია**

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მალალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. (0—5)

საზღვარ-გარედ

ინგლისი. გაზეთები სწერენ, ლორდ როზბერი ამ მოკლე ხანში კიდევ ილაპარაკებს და იმასვე იტყვის, რაც ამას წინად ლორდ სოლსბერიმ ილაპარაკაო. პირველ მინისტრად ნამყოფი გამოაცხადებს, რომ ბურების რესპუბლიკებს უსათუოდ დამოუკიდებლობა უნდა მოესპოსო, მხოლოდ ამ პირობით შეიძლება სამხრეთ-აფრიკაში ზავის ჩამოგდებაო. როგორც ეტყობა, ინგლისის უმაღლეს წრეებს აღარა სწამთ, რომ ომი მალე გათავდესო.

✿ გაზეთი „სან“-ი უცხადებს თავის მკითხველებს, რომ მთავრობის დასის წინამძღოლმა ბალფურმა ცილი დამწამა და ამიტომ სასამართლოში უნდა უჩივლო ბალფურსაო.

ინგლისისა და ჰოლანდიის მთავრობას რომ ზავზე მოლაპარაკება ჰქონდათ, ამის თაობაზე გაზეთმა „სან“-მა ამას წინად წერილი დაბეჭდა. გაზეთი სწერდა, რომ ბალფურმა ესა და ეს გამოაცხადა პალატაშიო. ამის შემდეგ ბალფურმა გამოაცხადა დეპუტატთა პალატაში, რომ „სან“-ის წერილი თავიდან ბოლომდე ცოცხალი ტყუილიაო. მაშინ „სან“-ის რედაქტორმა წერილი მისწერა ბალფურს და დაამტკიცა, რომ დაბეჭდილი წერილის ავტორმა მართალი დასწერაო და მოსთხოვა, რომ ბალფურს ბოდიში მოეხადა. ამ წერილის პასუხად მთავრობის დასის წინამძღოლმა ვერც ჰო უთხრა, ვერც არა. „სან“-ის რედაქტორმა კიდევ პალატის თავმჯდომარეს სთხოვა, პალატაში დამიბარეთ, რომ ეს საქმე გამოვარკვიოო. თავმჯდომარემ ავადმყოფობის გამო პასუხი არც კი მისცა რედაქტორს. ბოლოს „სან“-ის რედაქციამ თავის ადვოკატს დაავალა, რომ ბალფურს სასამართლოში უჩივლოს.

✿ „სენტრალ ნიუსი“-ს სააგენტოს შეუტყვია, რომ ლიბერალური დასის უმთავრესი გაზეთი „დაილი ნიუს“-ი პროგრამას იცვლისო. ეს პროგრამა უფრო პროგრესიული და დემოკრატიული იქნება და უფრო დიდ ყურადღებას მიაქცევს სოციალურ რეფორმებსაო.

✿ ირლანდიის საქმეების თაობაზე „რუსკია ვედომოსტი“-ს კორესპონდენტი იწერება:

„ნიუ ლიბერალ რევიუ“-ს თებერვლის წიგნში მეტად საინტერესო წერილია დაბეჭდილი. წერილი რასელის დაწერილია და სახელად „აღელვებული ირლანდია“ ჰქვიან; რასელი კარგად ჰხსნის ყველა იმ ამბებს, რაც ეხლა „მწვანე ერინზე“ (ირლანდიაში) ხდება. ავტორი სწერს:

„განა შესაძლებელი საქმეა, რომ ირლანდია ეხლა მშვიდადა და წყნარად იყოს, განა შეიძლება იმ ქვეყნის დამშვიდება, საიდანაც ხალხი ისე თავ-მოკლეჟილი მირბის, თითქო ამ ქვეყანას ჭირი მოსდებოდეს. ირლანდიის მშვენება და ძალა—ახალგაზრდობა სტოვებს სამშობლოს და უცხო ქვეყნებში მიდის. თუ მამულების საქმე როგზე არ მოეწყო, ოცი წლის შემდეგ ირლანდიაში მარტო დაჩაჩანაკებული ბერიკაცები-და დარჩებიან. ვინც ირლანდიაში დარჩა, ის კიდევ საშინელ ტანჯვაში ცხოვრობს“.

შემდეგ რასელი ამბობს: საგლეხო ბანკებმა მართალია სარგებლობა მოუტანეს ხალხს, მაგრამ ეს ბანკები მეტად მძიმედ და ნელა მოქმედებენო. ავტორი ამტკიცებს, ირლანდიელმა გლეხკაცობამ ეხლა ისე გაიღვიძეს, რომ უსათუოდ გაიმარჯვებენ ლორდებზეო, თუნდაც რომ მთავრობამ საადგილ-მამულო ლიგა დახუროს, მაინც გლეხ-კაცები თავიანთსას გაიტანენო. გლეხები ეხლა თავიანთ საკუთარის ჭკუით და მოსაზრებით იქცევიანო. ამის დასამტკიცებლად რასელი მოგვითხრობს, თუ რანაირად ებრძვიან გლეხები თავიანთ მამულის პატრონს ლორდ დე ფრეინს. ავტორი, ამტკიცებს, რომ ლორდი ვერას გახდება გლეხებთან, რადგანაც ყველა ფერმერებს თავისი ვეება მამულიდან ვერ გაჰყრეკავსო. ამ მამულს მთელი საგრაფო უჭირავს და მთელ საგრაფოს ხალხთან ბრძოლა ძლიერ გაუჭირდება ლორდსაო. გინდ მოახერხოს ფერმერების გარეკა, ამ გარეკასაც მაინც გამარჯვება არ დაერქმევაო. მთავრობას არას დროს არ გასჭირებია ისე საქმე ირლანდიაში, როგორც ეხლა გაუჭირდა: მეტად ბევრი მომხრე მოაკლდა. ეხლა მთავრობა ბრმა-ყრუდ ემორჩილება ორიოდე ლენდლორდს და ამათი თხოვნით ოლსტერის ფერმერების მეთაური რასელი სამინისტროდან დაითხოვა. ავტორის აზრით, ირლანდიის საადგილ-მამულო საქმე ამ მოკლე ხანში უსათუოდ საბოლოოდ გადასწყდება„.

⁂ **საფრანგეთი.** გაზეთები სწერენ: ეს კარგა ხანია, რაც გაზეთი „გოლუა“ თავ-გამოდებით ესარჩლება კაპიტან კიუნიეს. კაპიტან კიუნიემ ადრე დრეიფუსის საქმის თაობაზე საიდუმლო დოკუმენტები გამოაცხადა; ამის გულისათვის მთავრობამაც კაპიტანი სამსახურიდან დაითხოვა. გაზეთი თხოულობს, რომ კიუნიეს წინანდელი თანამდებობა დაუბრუნონ და სამხედრო მინისტრად ნამყოფმა გენერალმა გალიფემ „სრული სიმართლე“ სთქვას რენის (სადაც დრეიფუსის საქმე გაარჩიეს) პროცესის თაობაზეო. გალიფემაც ამნაირი პასუხი მისწერა თურმე „გოლუა“-ს რედაქტორს:

„მოწყალეო ხელმწიფევ! თითქმის ყოველ დღეს სიმართლის თქმასა მთხოვთ, ეს ძნელი საქმე როდია ჩემთვის. ორი თვე იქნება, რაც თქვენ ბრალსა მდებთ, ვითომ რენის მოსამართლეებისათვის ძალა დამეტანებინოს. რამწამს ეს ბრალი დამდეთ, მაშინვე გიპასუხეთ: მე ვთხოულობ, რომ ეს საქმე უმაღლესმა სასამართლომ გაარჩიოს-მეთქი. თუ უნდათ, რომ დრეიფუსის საქმე ნათლად გამოირკვეს, უეჭველად საჭიროა ამ საქმის გარჩევა უმაღლეს სასამართლოს მიენდოს და საქმის გარჩევის დროს ბრალდებულად, „თუ ბრალდებულის მოწმედ ყველანი დაიბარონ, ვისაც 1894 წ. და 1899 წ. შუა შემდეგი თანამდებობა ეჭირათ: რესპუბლიკის პრეზიდენტისა—მეტად სამწუხაროა, რომ ფელიქს ფორი გარდაიცვალა,—ან პირველი მინისტრისა, სამხედრო მინისტრისა, გარეშე საქმეთა მინისტრისა, მთავარი შტაბის უფროსისა, საკასაციო სასამართლოსი და სამხედრო სასამართლოების თავმჯდომარისა, პარიზის გუბერნატორისა, ქვეითა ჯარის მე-10 კორპუსის (რენში სდგას) უფროსისა და სხვ. და სხვ. გენერალ ანდრეს ტყუილად შეაწუხებენ, რადგანაც გენერალი რენის პროცესის შემდეგ დაინიშნა მინისტრად. იმედია, რომ უმაღლესი სასამართლო ნათლად გამოარკვევს ამ საქმეს. საქმის გარჩევა უსათუოდ საზოგადო არჩევნამდე უნდა მოხდეს. სხვა გზით ამ საქმის სავსებით გამორკვევა, ჩემის აზრით, არ შეიძლება“.

ავსტრო-უნგრეთი. ავსტრიის პირველი მინისტრი კერბერი ბუდაპეშტში წასულა უნგრეთის პირველ მინისტრ სელისთან მოსალაპარაკებლად. მინისტრები სხვა-და-სხვა სახელმწიფო საქმეებზე და ნამეტნავად ავსტრიის და უნგრეთის შეთანხმებაზე მოილაპარაკებენ.

✿ ჩეხური გაზეთები სწერენ:

„ქალაქი ბუდვეისი სამხრეთ ბოჰემიაში მდებარეობს და წინად გერმანელების ბურჯად ითვლებოდა. ბევრი გერმანელი ცხოვრობდა წინად ამ ქალაქში. მაგრამ ჩეხებმა თან-და-თან გაიწიეს, ეხლა ორი წილი ჩეხი იქნება ამ ქალაქში და ერთი გერმანელი. თუმცა ჩეხები რიცხვით ძლიერა სჭარბობენ გერმანელებს, ქალაქის მმართველობა ბუდვეისში კი ისევ გერმანელების ხელშია. გერმანელებს მარტო პირველი და მეორე ხარისხის ამომრჩევლებში შერჩათ ძალა; ამ ორი ხარისხის ამომრჩევლები უფრო დიდ ხარჯებს იხდიან და თითქმის სულ გერმანელები არიან. მესამე ხარისხის ამომრჩევლები-კი უფრო ჩეხები არიან, მაგრამ გერმანელები ათას ოინს ხმარობენ და ამ ამომრჩევლებსაც თავიანთ კანდიდატებს არჩევინებენ. ეხლა მალე ქალაქის ხმოსნების არჩევანი უნდა მოხდეს და რაკი გერმანელებს საქმე გაუჭირდათ, ბუდვეისის საბჭომ ავსტრიის ყველა კუთხიდან 348 ახალი გერმანელი მოაგროვა და ბუდვეისის მოქალაქედ ჩასწერა. ესენი მომეტებულ ნაწილად სულ წვრილმანი ხალხი არიან: წვრილი მოხელეები, ტყის მცველები, ხელოსნები, ლუდ-ხანის პატრონები და სხვ. ამ ახალ მოქალაქეთაგანი ბევრნი ბოჰემიის შემნახველ-გამსესხებელ კასაში მსახურებენ; ამათზე კი დიდი გავლენა აქვს ბოჰემიის მთავარმართებელს გრაფ კუდენჰოვეს. ამისთანა ოინებით გერმანელებმა იქნება მომავალ არჩევანშიაც გაიმარჯვონ“.

„ნ. ფ. პრესსე“-ს შეუტყვია, რომ ამ საქმის თაობაზე ჩეხიის ერის წარმომადგენლებს დეპუტაცია გაუგზავნიათ კერბერთან. დეპუტაციას უამბნია მინისტრისათვის, თუ რა ბოროტ-მოქმედებას სჩადიან გერმანელები ქალაქ ბუდვეისში, რა უკანონოდ ირჩევენ ხმოსნებს და უთხოვიათ, რომ ბუდვეისის საბჭო დაითხოვეთო.

სამხრეთ-აფრიკა. ერთ ჰოლანდიელ კოლონისტს წელიწადზე მეტი ბოტას რაზმში უმსახურნია და ეხლა ევროპაში დაბრუნებულა. ამ კოლონისტის სიტყვით „პალ მალ გაზეთ“-ი ამტკიცებს, რომ ბურების ჯარებში ამ ჟამად თითქმის სულ შეურიგებელი ბურები, ევროპიელები და ცოტაოდენი ეგრედ წოდებული „ინგლისელი კოლონისტი-პატრიოტები“ მსახურებენო. ეს სულ ისეთი ხალხია, რომ სიცოცხლისა და თავისუფლების მეტი აღარა გააჩნიათ-რა ამ

წუთისოფელში. ტუუილია, ვითომც ბურები დიდ გაჭირვებაში იყვნენ ჩავარდნილნი: ყველაფერი, იარაღი, თუ ტანისამოსი, ჭარბად აქვთ. ორიოდე თვის წინად ბოტა თავის ჯარს ელაპარაკა და უმტკიცებდა, რომ ბოლოს უსათუოდ ბურებს დარჩებათ გამარჯვებათ. ბოტამ სთქვა: „დარწმუნებული ვარ, რომ აქ ჩვენ მარტოკაც მოვერევით ინგლისელებს, თორემ მეც და სხვა სარდლებიც ყველანი კაპის კოლონიას შევესეოდით· იქ ხომ ყველა ჰოლანდიელი კოლონისტები იმის მონატრულები არიან, რომ იარაღი აისხან და ჩვენსავით ინგლისელებს ებრძოლონ. კაპელებიც სულ იმის ფიქრში არიან, რომ როგორმე თავიანთ ქვეყნიდან ინგლისელები გარეკონ“.

ყველა მეომარ ბურებს დიდი იმედი აქვთ მომავლისა. ჯამაგირის მაგივრად უბრალო ბარათს იღებენ და მტკიცედ სწამთ, რომ მალე მოუსწრებიან იმ დღეს, როცა ორივე რესპუბლიკას აადგენენ და რესპუბლიკის მთავრობა ამ ბარათებით ფულს გადაუხდის. ევროპიდან კიდევ მოდიან მშველელები, თუმცა კი იმდენი აღარ მოდიან, რამდენიც წინად მოდიოდნენ. ამას წინად ბოტასთან 70 ევროპიელი მოვიდა: ზულუსების ქვეყანაზე გამოევლოთ; თანაც სულ ახალთ-ახალი მოწყობილების გელიოგრაფი მოეტანათ.

ჩინეთი. ინგლისურ გაზ. „მის. ჟურნალ“-ში დოქტორი შარკერის წერილია დაბეჭდილი. დოქტორი საინტერესო ცნობებსა სწერს საზოგადოთ ჩინურ გაზეთებზე და ნამეტნავად იმ გაზეთებზე, შანხაიში რომ გამოდის. შანხაიში ხუთი უმთავრესი ჩინური გაზეთი გამოდის თურმე, ოთხი ამათგანი რეფორმის მომხრეა და სულ ნიადაგ იმასა სწერენ, რომ ჩინეთში, რაც კი შეიძლება, მალე დასავლეთ ევროპის წყობილებას დაამყართოთ.

ახალი ამბავი

◆ ორშაბათს, 4 თებერვალს, კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების სადგომში სხდომა ჰქონდა იმ კომისიას, რომელმაც უნდა შეიმუშაოს პროექტი, თუ როგორ მოეწყოს ჩვენში მორტირების საშუალებით **სეტყვასთან ბრძოლა.** კომისიამ განიხილა ამ საქმის შესახებ ყველა მასალა და გაანაწილა შრომა წევრთა შორის, რათა ამ რიგად ყოველ მხრით შემუშავებული მოხსენება ახლო მომავალში წარუდგინოს განსახილველად კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრებას.

◆ **ტფ. ტეხნიკოსთა საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოების** წევრთა საზოგადო კრება დანიშნულია 21 თებერვალს. ამ სხდომაზე ამორჩეულ იქმნებიან საზოგადოების სარევიზიო კომისიის წევრები და განხილულ იქმნება განსაკუთრებულ კომისიის მიერ შემუშავებული ინსტრუქცია გამგეობის სახელმძღვანელოდ.

◆ ჩვენ გვატყობინებენ, რომ **როტშილდი გამოდის** „სტანდარტის“ კამპანიიდან, რომელთანაც კასპიის და შავი-ზღვის ამხანაგობას ხელ-შეკრულობა აქვს, რომ ევროპის ბაზრებში კეროსინი ზიდონ.

◆ საბეითალო უწყებამ წარსულ წელს შემოიღო საცდელად **ჭირიანი საქონლის აცრა** ზაქათალის ოლქში. ეხლა დამტკიცდა, რომ აცრა ძალიან შველის საქონელს. ამის გამო მომავალ გაზაფხულზე ჰფიქრობენ დაუწყონ წამლობა დ აცრა საქონელს, იმის მაგივრად, რომ სულ არა ჰხოცავდნენ. ამ საქმისათვის გაიმართება რამდენიმე ასაცრელი და სარჩენი სადგური, როგორც ზურნაბადშია. საქონლის აცრა-მორჩენისათვის გადადებულია ამ ხანად—95,000 მანეთი.

◆ ჩვენ გვატყობინებენ, რომ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა უგანათლებულესმა თავადმა გრუზინსკიმ, რომლის კანდიდატურაც წარმოადგინეს ხელახლა ვიცე-პრეზიდენტის ასარჩევად, **უარი განაცხადა** და არა ჰსურს კენჭი იყაროს.

◆ ტფილისის სახელოსნო გამგეობაში ტფილისის მეპურეთა ამქრის უსტაბაშად ამ დღეებში ამოირჩიეს სხირტლაძე, რომელსაც განზრახვა აქვს შეუდგეს ტფილისის მეთონეების გარდაწყვეტილების განხორციელების საქმეს. საქმე იმაშია, რომ მეპურეებიც მიხვდნენ, თუ რა შესაბრალებელს მდგომარეობაში არიან ისინიც ტფილისის ჩარჩვაჭრების მეოხებით. სხირტლაძის მეთაურობით ხელოსნებმა გარდასწყვიტეს ჯერ-ჯერობით თითოეულმა მეპურემ შეძლების აგვარ გამოიღოს 200—300 მანეთამდე და ამ ნაირად გამოღებულ საერთო თანხით დააარსონ **პურის საერთო მაღაზია და შეშის საწყობი.** რა თქმა უნდა, თუ ეს საქმე რიგიანად განახორციელეს, დიდს დახმარებას გაუწევენ მეპურეებს.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ, უკანასკნელ სხდომაზე, განიხილა ტფილისის საქალაქო სასწავლებელთა გამგე კომისიის დადგენილება უდროვოდ გარდაცვალებულის მასწავლებელ ქალის თ. ქუჩუკაშვილის დედისთვის **შემწეობის აღმოჩენის** შესახებ და შესცვალა კომისიის დადგენილება; სახელდობრ, საჭიროდ დაინახა დაენიშნოს არა 160 მან., არამედ 200 მანეთი.

◆ **მცირე წლოვან** დამნაშავეთა გამასწორებელ ახალ-შენის დირექტორად ახლად დანიშნულმა ბ-ნმა ივ. მაღალაშვილმა 4 თებერვლიდან უკვე ჩაიბარა ახალ-შენი და კიდეც შეუდგა თავის თანამდებობის აღსრულებას.

◆ ხვალ, 7 იანვარს, ტფილისის ქალაქის გამგეობის სადგომში სხვა-და-სხვა მიმდინარე საქმეების განსახილველად დანიშნულია სხდომა **ქალაქის სასწავლებელთა** გამგე-კომისიისა.

◆ ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთმა შეძლებულმა საქონლის პატრონებმა მიჰმართეს ქალაქის გამგეობას, რომ ისინი იკისრებენ ქალაქის საყასბოებისთვის **კარგი საქონლის** მორეკას.

◆ ამიერ კავკასიის რკინის გზას **სახალხო მგზავრებიდან** პირველ იანვრიდან პირველ სექტემბრამდე 1901 წელს შემოსვლია 2.276,506 მან., ხოლო მთელის წლის განმავლობაში—4$^1/_2$ მილიონი მანეთი.

◆ კავკასიის მინერალური წყლების სამმართველომ გადასწყვიტა იშუამდგომლოს, რომ „სეზონნი ლისტოკი“ გაფართოვებულ იქმნას და გადაკეთდეს **ყოველ-დღიურ გაზეთად** საზოგადო გაზეთების პროგრამით. აგრეთვე სურთ ეს გაზეთი გასცენ იჯარით და დაუნიშნონ სუფსიდია.

◆ ამ დღეებში სოფ. ჯალალ-ოღლში შეიპყრეს ვინმე კ., რომელსაც ავაზაკობაში მონაწილეობის მიღება ბრალდება. საქმე იმაშია, რომ ეხლახან ერთს სოფელში სანაინს ახლო ერთს სომხის მღვდელს ტეროვსიანცს ღამით სახლი გაუტეხეს, შეუცვივდნენ და რაც რამ სამკაული ებადა, წაიღეს. მღვდელმა მეორე დღეს ბევრი ეძება, მაგრამ დაკარგული ნივთებისა ვერაფერი ვერ შეიტყო. მხოლოდ შენიშნა, რომ მოსამსახურე თათრის ბიჭი სადღაც მიეფარა. რადგანაც ტერტერას რამდენიმე თვის ჯამაგირი არ მიეცა ბიჭისათვის, იფიქრა, რომ გამქურდა და წავიდაო და თითქმის საქმე დავიწყებას მისცა. მაგრამ შემთხვევით გაიგო, რომ ის გაუქურდნია სამ კაცს, რომლების მოთავეც ყოფილა კ. ორი კაცი შეიპყრეს, რომელთაც დაასახელეს მესამე კ. იმათ ჩვენებიდან აღმოჩნდა, რომ როდესაც ტერტერა გაუქურდნიათ, გამოსულან და რომ დანაშაულობის გზა და კვალი დაებნიათ, შესულან თავლაში და მოსამსახურე თათრის ბიჭი **მოუკლავთ** და ეზოში ნეხვში ჩაუფლავთ. თუმცა კ. სადღაც გადაიკარგა, მაგრამ ამ დღეებში შეიპყრეს და საქმე სულ გამოაშკარავდა.

◆ 19 თებერვალს ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე ბორჩალოს მაზრის უფროსად ნამყოფის არნოლდისა, რომელსაც სამსახურის დროს სხვა-და-სხვა დანაშაულობათა ჩადენა ბრალდება.

◆ გორის მაზრის სოფ. ქარელის მცხოვრებთა: მთავარ-დიაკონის იოსებ წერეთლისა, სიმონ კუმსიშვილისა, დავით ჯავახიშვილისა, ნიკოლოზ აბაიშვილისა, სოლომონ ახალკაცისა და დავით გოჩიშვილის საქმის შესახებ გამოძიება უკვე დამთავრდა და ბრალდებულთ საბრალმდებლო ოქმი უკვე მიიღეს. აღნიშნულ პირთ ბრალად ის ედებათ, ვითომც ერთმანეთთან შეთანხმებით გასტეხეს ქარელის ეკკლესია, საიდანაც გაიტანეს 103 მან. ფულად და 14 სხვა-და-სხვა საეკკლესიო ძვირფასი ვერცხლის ნივთები. საქმეს ტფილისის ოლქის სასამართლო ახლო მომავალში განიხილავს.

◆ პოლიციის მე-6 ნაწილში, 4 თებერვალს, ღამით ყული-სადიხ-ოღლის სახლში მოთავსებულ კლიმენტი იანკოვსკის ქარხანაში შეპარულა თელავის მაზრის მცხოვრები ალ. ჯატინიძე და მოუპარავს 65 ცალი თხის ტყავი, სულ 155 მანეთად ღირებული. პოლიციამ ჯატინიძე მოპარულის ნივთებით უკვე შეიპყრო.

◆ ბორჯომიდან იტყობინებიან, რო[illegible] ვალს, ღამის მესამე საათ. საქონლის მატარებ[illegible] დაეტაკა ლიანდაგზე ჩამოწოლილ კლდეს ბ[illegible] და ბორჯომ-პარკს შუა, ლოკომოტივი რელს[illegible] გადმოვარდა და დაზიანდა. ხალხი არავინ არ დაშავებულა.

◆ სადგურ პუტადან იტყობინებიან, რომ 2 თებერვალს სახალხო მატარებელში №-6 ხვალინსკაიას და პუტას შუა გარდაიცვალა მძიმე ავადმყოფი მგზავრი ლეკი იბრაგიმ სულეიმან-ოღლი. გვამი ჟანდარმთა პოლიციას გარდაეცა.

შემახის უბედურება

ჩვენ მოგვივიდა შემახადან შემდეგი წერილი: „დეპეშიდან უკვე გეცოდინებათ, რომ 31 იანვარს აქ საშინელი მიწის ძვრა იყო. ხუთი წამის განმავლობაში მთლად ძირს დასცა მთელი ქალაქი. საშინელს სურათს წარმოადგენდა შემახა იმ წამს. სუყველა თავ-მოგლეჯილი, უქუდოდ დაეძებდნენ თავიანთ ნათესავებს და შვილებს. ტირილი, ღრიალი და წიოკობა სუყველა სახლში. მაზრის უფროსი მაშინვე გაექანა ქვემო ქალაქში, სადაც მაღაზიების დანგრევის უმალ მოჰყვა ცეცხლი და რაც დარჩა ზოგიერთ მაღაზიაში, ცეცხლმა იმსხვერპლა. ზარალი დიდია. ქვემო თათრის ნაწილში ერთი სახლი აღარ დარჩა, საცა 25,000 მცხოვრებია. იქვე მასწავლებელი ვლასიანცი თავის შეგირდებით მოჰყვა სახლის ქვეშ და დღესაც ვერ უპოვნიათ; სუყველა აბანოები დანგრეულია და ვინც შიგ იყო, ერთიც ვერ გადარჩა. გუშინ ყვირილი ისმოდა აბანოებიდან —დღეს აღარა ისმის რა. მსხვერპლი ბევრია. აქამდისინ გრძელდება მიწის ძვრა ყოველ 5—10 წამს, აფეთებს ხალხს. სუყველის შიშის ზარი დაეცა. ბევრი მიდიან შემახიდან. საქალაქო სასწავლებელი დაზარალდა. შეგირდები არ დაშავებულან, ყველა გადარჩა.

—

მიწის ძვრისაგან დაქცეულია, სხვათა შორის, ყაზარმები, ცეიხჰაუზები, პურის საცხობები და მთლად შემახის პოლკის ნაქირავები შენობები. ოფიცრები ოჯახობით, აგრეთვე მოხელეები და მღვდელი დარჩნენ ქუჩაში, ცის ქვეშ სრულიად უმწეოდ. ამის გამო კავკასიის ჯარების სამხედრო ოლქის უფროსმა შუამდგომლობა აღძრა, რომ დახმარება აღმოეჩინოთ დაზარალებულ ჯარის კაცთ. შუამდგომლობის პასუხად სამხედ[illegible] მინისტრისაგან „კავკაზ“-ს მოუვიდა დე[illegible] 4 თებერვალს ამა წლისა, რომ ხე[illegible] იმპერატორმა უმაღლესად ბრძანა: [illegible] ხედრო სამინისტროს სავარაუდო [illegible] ხიდან წინდაწინვე გადაიდოს 30,00[illegible] რათა დროებით ბანაკები ააშენონ, [illegible] ჩენილ ქონებას მოუარონ და დაღ[illegible] ქონება აღადგინონ; 2) ოფიცრებს, [illegible] და ჩინოვნიკებს აღმოეჩინოთ დახ[illegible] ცოლ-შვილიანებს ნახევარ წლის და უცოლშვილოთ სამი თვის ჯამაგირით; 3) ინტენდანტსტვოსაგან მიეცეთ, შეძლების დაგვარად, საავადმყოფოს კარვები, რათა მოათავსონ მათში ოფიცრები და ავადმყოფი ჯარის-კაცები; 4) ჯარის-კაცებს მოუმატონ სურსათი.

—

ბაქოს გუბერნატორის დეპეშა კავკასიის მთავარ-მართებლისადმი, 4 თებერვალს: „მიწის ძვრისაგან დაზარალებულ სოფელთა რიცხვი აქამდის მოსულის ცნობებით უდრის ოცდა ცამეტს; ოცდა შვიდი ადამიანის მსხვერპლია. ზარალის სიდიადის დაწვრილებით გამოსაკვლევად ადგილობრივ კომისია შევადგინე; ეს კომისია ხვალიდან შეუდგება სოფლების გამოძიების საქმეს. დღეს თითქმის მთელი ქალაქი დავიარე და პირადად დავრწმუნდი, რომ ქალაქის ქვემო ნაწილი სრულიად განადგურებულია, ხოლო ზემო ნაწილში დიდად დაზიანებულია ყველა სახლი; სრულიად დაუზიანებელი სახლი ქალაქში არ არის. დღეს გააღეს მართლ-მადიდებელთა ტაძრის კარები, საიდანაც მღვდელმა გამოასვენა წმიდა ნაწილები, ოდიკი და სხვა წმიდა საგნები. ეკკლესიის კანდელი ხატებით თითქმის დაუზიანებელია. ნანგრევებსა სთხრიან შემახის პოლკის ჯარის კაცნი ინჟინერების ხელმძღვანელობით. ამ ჟამად ცოცხლები ამოთხარეს ოცდა ერთი ადამიანი, ხოლო მკვდრები შვიდას თოთხმეტი. ბაქოს მოქალაქეთ გამოგზავნეს აქ წარმომადგენლები, რათა გამართონ მუქთი სასა-

[illegible]არაკები სა[illegible] ქუთაის და [illegible] ის შუადღის 12 ს. 20 [illegible] 2 ს. 12 წ. [illegible] ოგზავნილი [illegible] ადგილო[illegible] კ[illegible]ტეტში“.

—

„ნოვ. ობოზრ.“-ს დეპეშით ქიურდამირიდან: სადგურზე მ[illegible] ფუთი პური, რომელიც ე. ნთაშ[illegible] შესწირა შემახის დაზარალებ[illegible] გადასაზიდავად ფურგონები არ[illegible] თებერვალს 10 ფურგონი ჰკავზავნ[illegible] ახლო-მახლო დაზარალებულ [illegible]ფლებში თვით შემახაში შიმშილობაა.

—

შემახასა და მის მიდამოებში ძვ[illegible] ხშირად ყოფილა წინადაც. 9 წელ[illegible] მაგალითად, საშინელ მიწის ბევრ[illegible] სახლი დაუნგრევია და თითქმის [illegible] უზარალებია. გამოჩენილი მე[illegible] აბიხ[illegible] რომელმაც გამოიკვლია შემამოებ[illegible] სწერდა: ადვილად შესაძლ[illegible] რო[illegible] მიწის ძვრამ ერთხელ სრულიად [illegible] შემახა. აბიხის წინასწარმეტყველება, სა[illegible] წუხაროდ, გამართლდა.

პრეს

„პეტერბ. ვედომ.“-ს უკანა[illegible] ნომერში დაბეჭდილია საყურ[illegible] წერი[illegible] ლი გრ. ნიკ — სა კავკასიელ [illegible] გა[illegible] ჭირვებულ მდგომარეობის შე[illegible]ტორ[illegible] იხსენიებს ჯერ იმ ფაქტს, რო[illegible] და თერგის ოლქებიდან ბოლო[illegible] ბევრი ჩერქეზ-ლეკი გადასახლ[illegible] და შემდეგ ამტკიცებს, რომ [illegible] მიზეზი არც პოლიტიკურია, [illegible] ნოებრივი; გადასახლება გამო[illegible] მხოლოდ ეკონომიურის გაჭირ[illegible], ვერ-ჯელ უჩივლიათ მთიულთ, [illegible] ლება არავის მიუქცევია. [illegible] ხავტორ[illegible] მოჰყავს საინტერესო [illegible] [illegible]

განს[illegible]

ახალი წიგ[illegible]

საქართველო[illegible]

[illegible]ინაძე—გბილის სნეულებ[illegible]

[illegible]ანიშვილ[illegible]

[illegible]ნიკა

[illegible]ორო საქრქეოლო[illegible] წელს აგვისტოში [illegible]ეოლოგთა საყოლ[illegible] იქვე [illegible] არქეოლოგიო და ეთ[illegible] [illegible] ანგარიშით, წელს [illegible] ნავთის [illegible] [illegible]0.000 მან[illegible] [illegible] ვიდრე [illegible] [illegible]

[illegible] № 274.

ტფილისის «მამათა» დარბაზიდან

მკითხველო, როგორ გგონია, რისთვის არის ხოლმე შემოღებული საბჭოს სხდომებზე თუ სხვა კრებებზე წინა სხდომების ოქმის წაკითხვა? აზრი ამ წესისა ის უნდა იყოს, რომ ორატორების ნალაპარაკევი სისწორით იყოს შეტანილი ოქმში. ეხლანდელ ჩვენ ხმოსნებს, ალბათ, დიდი იმედი აქვთ მდივნისა ან ოქმის შეცდომას დიდათ არაფრად აგდებენ, რომ არასოდეს ოქმს არ ჰკითხულობენ, ან შეიძლება... თვითონვე აღარ სურთ თავიანთ ნალაპარაკევის გაგონება.

გამგეობის წევრი ხოსროევი მძიმე ავადმყოფი ყოფილა და უთხოვია წინდაწინვე თებერვლის ჯამაგირი. გულმტკივნეულ გამგეობას გადუწყვეტია ფულით შემწეობის აღმოჩენა ავადმყოფ წევრისათვის და საფინანსო კომისიასაც შესაწევად 25 თუმანი დაუნიშნავს. კიდევ უფრო გულმტკივნეულმა საბჭომ ოცდა-ხუთი თუმანი არ იკმარა და ორმოცდა-ათი დაუნიშნა. დამსახურებულ კაცის დახმარება საქებურია ყველასათვის, ამიტომ ხოსროევის დახმარებაც დასაძრახისი არ იქნება, მაგრამ ჯერ ერთი ხოსროევს კარგი ჯამაგირი აქვს—თვეში 25 თუმანი, მეორე ნეტა როგორ მოქცეოდა იგივე გულმტკივნეული საბჭო, ავათ რომ უფრო წვრილი მოხელე გამხდარიყო? შენი არ ვიცი, მკითხველო, და მე კი დარწმუნებული ვარ, რომ წვრილ მოხელეს არა თუ 50-ს, 20 თუმანსაც არავინ მისცემდა: რამდენად მაღალი ადგილი გაქვს და მეტი შეძლება გაქვს, უფრო გეხმარებიან ჩვენი ქველმოქმედები. დამამტკიცებელი საბუთი საბჭოს ამავე სხდომის მეორე დადგენილებაა: ხუთი თუმანი მიეცეს სემეიკოს, ათი გობაიძეს, ხუთი კატანიანცს (სახელოსნო სასწავლებლის მასწავლებელია) და 15 ვავრს. სემეიკოსა და გობაიძეს (მეონკანენი ყოფილან) 14 წელიწადი უმსახურნიათ და ეხლა თურმე შრომა აღარ შესძლებიათ, რომ თავი გამოიკვებონ. ზოგი ხმოსანი, რომელიც თანახმა იყო, რომ ხოსროევისათვის 25 თუმანი მიეცათ, წინააღმდეგი იყო, რომ ამ საწყალ ხალხისათვის ეს ორი გროში მიეცათ.

გამგეობას ერთი მშრომელი და ცნობის მოყვარე ბეითალი ჰყოლია, გვარად კანცელმახერი. ამ კანცელმახერს განუზრახავს რუსეთის დიდ ქალაქების სამაგალითო საყასბოების დათვალიერება და მათ ორგანიზაციისა და ექს[illegible]ციის გაცნობა. ასეთ სასარგებლო განზრახვის შესასრულებლად ბეითალს უთხოვია 300 მ. შემწეობა და ორის თვით სამსახურიდან დათხოვნა. გამგეობას, საფინანსო კომისიას და სასანიტარო-საექიმო ინსპექტორს სასურველად დაუნახავთ ხსენებულ ბეითალის რუსეთში გაგზავნა აღნიშნულის მიზნით. მაგრამ საბჭოს „ფხიზელმა“ წევრებმა გამოაცხადეს, რომ ერთის წლის შემდეგ სრულიად რუსეთის ბეითალების კრება იქნება და მაშინ გავგზავნოთ ბეითალიო. საკითხმა ხანგრძლივი და ცხარე კამათი გამოიწვია და ბოლოს საქმე იმით გათავდა, რომ კანცელმახერს უარი უთხრეს. ავ-ენანი ამბობენ, რომ აღნიშნულ სიცხარისა და უარის თქმის მიზეზი მეორე ბეითალი, მელქუმოვი, არისო: თურმე კანცელმახერის დაფნის გვირგვინები მას მოსვენებას არ აძლევენ და ამასაც შემოუტანია რაღაც განცხადება გამგეობაში. „ფხიზელ“ ხმოსნების არა ფხიზელი გაცხარებაც ამას მიეწერება თურმე. როგორც ვხედავთ, საქონლის ექიმებიც ვერ არიან თურმე ერთმანერთთან დიდ მეგობრულ განწყობილებაში.

როგორც ვიცით, გუბერნატორმა დაამტკიცა საბჭოს სავალდებულო დადგენილებანი ხორცის სამ ხარისხად დაყოფის შესახებ. ამ სავალდებულო დადგენილებათა ძალაში შესვლამ წამოაყენა რამდენიმე საკითხი. ებრაელები თხოულობენ, რომ ეს დადგენილებანი არ გავრცელდეს მათ საყასბოებზე, რადგან ისინი, ძველ ჩვეულებათა მიხედვით, საქონლის ყველა ნაწილებს არა სჭამენ. საბჭომ შეიწყნარა ეს თხოვნა. ხორცის ხარისხებად დაყოფა ახალი საქმეა, მეტი ზედამხედველობაა საჭირო და ამიტომ გამგეობა, თანახმად სავაჭრო-სამეურნეო ზედამხედველის წინადადებისა, 1200 მან. თხოულობდა ახალ ზედამხედველ პირების დასაქირავებლად ექვსის თვის განმავლობაში. საბჭომ უარი უთხრა გამგეობას 1200 მანეთის მიცემაზე: ეხლანდელი აგენტებიც არაფერს აკეთებენ და არც ახლები გააკეთებენ რასმესო. გარდა ამისა, კ. ალიხანოვის წინადადების თანახმად, საბჭომ დაადგინა—ვიშუამდგომლოთ გუბერნატორთან საქალაქო საყასბოების გახსნამდე ნუ შევა ძალაში დამტკიცებული სავალდებულო დადგენილებანიო. ბევრი ეცადა არ. ბაბოვი შეეგონებინა ხმოსნებისათვის, რომ ეს სავალდებულო დადგენილებანი მცხოვრებთათვის დიდათ სასარგებლოა, რომ არ ვარგა მათი ძალაში შესვლის დაგვიანება, რადგან ვინ იცის, როდის იქმნება საქალაქო საყასბოებიო, მაგრამ არა გაუვიდა-რა. ბაბოვი იმასაც კი ამტკიცებდა (და საბუთიანადაც), რომ საბჭოს ამ გვარი დადგენილება უკანონო არისო (საბჭოსაგან მიღებული და საგუბერნიო ადმინისტრაციისაგან დამტკიცებული დადგენილება ძალაში შედის ახალ, წინააღმდეგ დადგენილებამდე; ამიტომ თავმჯდომარეს უფლება არ ჰქონდა კ. ალიხანოვის უკანონო წინადადებისათვის კენჭი ეყარა), მაგრამ ალბად კ. ალიხანოვი დიდი ავტორიტეტია ჩვენის ხმოსნებისათვის.

ღორისა და ცხვრის ხორცის ნიხრი საბჭომ ძველი დასტოვა.

გოგოლის იუბილეის გამო საბჭომ სკოლების კომისიის წინადადება მიიღო (პანაშვიდი, ბიუსტი ალექსანდრეს ბაღში, 300 მ. წიგნებისა და პორტრეტების დარიგება საქალაქო სკოლების მოსწავლეებისათვის).

საბჭომ განიხილა აგრეთვე 17 სახლის მეპატრონეების საჩივარი დასაფასებელ გარდასახადის სიდიდის გამო. საბჭომ, თანახმად გამგეობის მოხსენებისა, ერთის გარდა, ყველას უარი უთხრა. ეს ერთი თხოულობდა, რომ გადასახადი გაეწერათ მის მამულზე მიწის მზომელის ცნობის მიხედვით და არა დოკუმენტების მიხედვით (დოკუმენტებში მეტია მიწა ნაჩვენები, ვიდრე გაზომვით აღმოჩნდა).

დასასრულ ხმ. ბებუთოვმა განაცხადა შემდეგი: ყველამ ვიცით, რა საშინელი უბედურება ეწვია შემახას. ტფილისი ყოველთვის დიდ გულმტკივნეულობას იჩენდა ამისთანა შემთხვევებში და, იმედია, ეხლაც დახმარებას აღმოუჩენს უბედურებს. დახმარების რაოდენობა უნდა გამოარკვიოს გამგეობამ და წარუდგინოს საბჭოს.

ბევრი ეცადა არ. ბაბოვი გაეჩერებინა. როგორმე ხმოსნები- ბატონებო, იწამეთ ქრისტე, ხუთი წამი კიდევ მოიცადეთ და ავლაბრის პროგიმნაზიის საქმე გავათავოთო, მაგრამ ხმოსნებმა იგრიალეს და ერთ წუთში დასცალეს თავიანთი სკამები.

დაბა-სოფლები

ს. კურდღელაური (თელავის მაზრა). „ცნ. ფურცლის“ მკითხველთ ეხსომებათ ამ სოფლის ეკკლესიის გაცარცვის საქმე. ბოროტ-მოქმედთ ყოველივე ტაძრის მოწყობილება წაიღეს და აღარც წირვა-ლოცვის შესრულება შეიძლება, ისე რომ ეს ეკკლესია შეიქმნა ხელ-ახლად მოსაწყობი. თუმცა კერძო შეწირულებას აგროვებენ, მაგრამ ყველა დაკარგულ ნივთების შესაძენად საჭირო, ფული შეაგროვონ. ამიტომ შეიკრიბნენ ამ სოფლის მცხოვრებნი—ეკკლესიის მრევლი და გადასწყვიტეს წირვის აღსრულებისათვის ყველა საჭირო ნივთების ფასი თვით გაიწერონ და ფულის მოკრებაც დაიწყეს. ამის გამო ჩვენ გვაგონდება შემდეგი ამბავი: ამ ორი თვის წინად თელავის საკათედრო ტაძრის ვერცხლის ჯვარს ბოროტ-მოქმედებმა შემოაცალეს რამდენიმე ნაწილი და მოზრდილი ბუშტი. ეს საუნჯე შეწირული იყო მეფე ერეკლე მეორისაგან, რასაც მოწმობდა ზედ წარწერა ბუშტზე. თუმცა კრებულმა არაფერი არ დაზოგა და ცხარე მონაწილეობა მიიღო მის ძებნაში, მაგრამ მაინც ვერ აღმოაჩინა.

ნუთუ თელავის ტაძრის მრევლსაც, როგორც კურდღელაურის უწყალო გლეხთ, არ შეუძლიათ შეჰკრიბონ თავიანთ შორის ფული და შეავსონ ეს გაუშნოებული ტაძარი!

ალაგირი (თერგის ოლქი). სულ ერთი კვირაა, რაც ამ სოფელში, ყელჩორგვება გავრცელდა რომელიც საბრალო ბავშვებს მუსრს ავლებს და წუთი-სოფელს ასალმებს. აქ არის სასოფლო ფერშალი, რომელიც ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რათა ეს ავადმყოფობა მოსპოს, მაგრამ ერთმა კაცმა რა ჰქნას?! სასურველია, სოფელმა მეორე ფერშალიც მოიწვიოს.

ამ ჟამად აქ მშვენიერი დარებია; ტყე ფოთოლს ისხამს; მინდორიც ჰყვავის; მაგრამ ხალხი ამბობს, ასე თუ გასტანა ამ დარებმა, წრეულს ცუდი მოსავალი იქნებაო.

კვირას, 27 იანვარს, აკურთხეს ალაგირის ბიბლიოთეკა-სამკითხველო. კურთხევის შემდეგ ერთმა წევრთაგანმა ექიმმა ბ-ნმა რისკინმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც აღნუსხა ბიბლიოთეკის სარგებლობა მეტადრე ისეთს ადგას, როგორც ალაგირია.

იქიდანვე კვირას, 27 იანვარს, ალაგირის ქართულ სამრევლო სკოლის მასწავლებლის, ბ-ნ პავლე ლომთათიძის თაოსნობით, გამართულ იქმნა უფასო ლიტერატურული საღამო. რადგან ქართული სკოლის დარბაზი პატარაა და მასში ბევრი ხალხი ვერ მოთავსდებოდა, ამიტომ საღამო გაიმართა სამხედრო (ბატარეის) სადგომში, რომელიც ეხლა ცარიელია. დანიშნულ დღეს აუარებელი საზოგადოება მოაწყდა სადგომს: იყვნენ ქართველები, რუსები და ოსები; უადგილობისა გამო ბევრი გარედ იდგა და იქიდან ყურს უგდებდა. საღამო შესდგებოდა სამ-ნაწილიდან: წაიკითხეს რუსული და ქართული ლექსები და აგრეთვე სცენები ჩვენის ხალხის ცხოვრებიდან; იმღერეს ქართული საერო სიმღერები და ბოლოს აჩვენეს ბუნდოვანი სურათები. ქართულ სიმღერებს მწყობრად გალობდა ხორო შედგენილი, მოწაფეთაგან და გალობის მოყვარეთაგან ბ. ლომთათიძის ლოტბარობით. უცხო სტუმართ ძალიან მოეწონათ „ინდი-მინდი“. „გაფრინდი შავო მერცხალო“ და „პატარა საყვარელო“. ბუნდოვანი სურათები სკოლას არ მოეპოვება; ამიტომ მასწავლებელმა ინათხოვრა ისინი კავკავის ქართული სკოლის მასწავლებლის ბ. ლუარსაბ ბოცვაძისაგან. ნაჩვენები იყო ქართველ ისტორიულ მოღვაწეთა და წმიდანების სურათები. საზოგადოდ ამ საღამომ ხალხზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა და ისე ასიამოვნა, რომ გარდასწყვიტეს გამართონ ხელის მოწერა, რათა შეიძინონ სკოლისათვის საკუთარი ფარანი ბუნდოვანის სურათებისათვის, რომელსაც სკოლა დღემდის მოკლებულია; იქვე შეჰკრიბეს 12 მანეთი და ჩააბარეს სკოლის მასწავლებელს.

იმედია, მასწავლებელი მომავალშიაც არ მოგვაკლებს ამ გვარ საღამოებს.

წერილი რედაქტორთან

ბატონო რედაქტორო!

თქვენი გაზეთი მძიმე ბრალსა მდებს (№ 1705 „პრესა“): სწერთ, ვითომ მე ამ ორის წლის წინად მავნებელი რჩევა მიმეცეს ტფილისის სააზნაურო ბანკისათვის...

„სამინისტროს განუზრახავს შესცვალოს საადგილ-მამულო ბანკების ის მუხლი, რომელიც შეეხება თანხების შენახვის საქმეს იმ რიგად, რომ ბანკი ვალდებული იყოს სათადარიგო თანხა მხოლოდ სახელმწიფო ქაღალდებში ინახებოდეს“. საკითხი, როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ტფილისის საადგილ მამულო ბანკშიაც აღიძრა ამას წინად; ოპოზიციის ზოგიერთნი წევრნი (თ. კლად. მიქელაძე, თავ. ალ. ჩოლაყაშვილი და სხვანი) იმ აზრისანი იყვნენ, რომ სათადარიგო თანხის ერთი ნაწილი კერძო ქაღალდებში (?!) ინახებოდეს; ბანკის გამგეობა ამის წინააღმდეგი იყო იმ მოსაზრების ძალით, რომ ეს სპეკულაციაში ჩაითრევს ბანკს და საშიშ მდგომარეობაში ჩააყენებს მას. როგორც „რუს. ვედომ“-ის ცნობიდან ვხედავთ, ფინანსთა სამინისტროც ამ აზრისა ყოფილა“.

გულ დადებით წავიკითხე სამინისტროს განზრახულობანი, რომელნიც მოყვანილნი არიან „რუს. ვედომოსტებში (№ 18). იქ არსად არ არის ნათქვამი, ვითომ ბანკი ვალდებული იყოს სათადარიგო თანხა მხოლოდ სახელმწიფო ქაღალდებში შეინახოს; არც ის არის ნათქვამი, რომ, თუ ბანკი იყიდის სათადარიგო თანხის ერთის რომელიმე ნაწილით კერძო პროცენტიან *) ქაღალდებს, ამით იგი სპეკულაციაში ჩათრეულ იქმნება და საშიშ მდგომარეობაში ჩავარდება; აგრეთვე ვერც ის ამოვიკითხე, ვითომ ხარკოვის ბანკს ეზარალოს იმიტომ, რომ ბანკს არა საიმედო ფასიან ქაღალდებში შეენახოს თავისი თანხები.

ვბედავ და გეწუხებით, მობრძანდით, საიდან შეიტყვეთ ეგ ამბები. თუ ყოველივე, რასაც თქვენ ბრძანებთ, მართალია, რა თქმა უნდა, ვალდებული ვიქნები შევინანო ჩემი ცოდვანი და დანაშაულებანი ჩემი წინაშე საზოგადოებისა აღვიარო. და თუ არა, გთხოვთ, თქვენვე ამყაროთ ბრალი.

ვლადიმერ მიქელაძე

რედაქციისაგან: თავ. ვლ. მიქელაძე ცოტა არ იყოს უხერხულად იწყებს თავის წერილს: „გაზეთი მძიმე ბრალსა მდებს, ვითომ ამ ორის წლის წინად მავნებელი რჩევა მიმეცეს ტფ. სააზნაურო ბანკისათვის“. გაზეთს ეს არ უთქვამს; ჩვენ მოყვანილი გვქონდა თავ. მიქელაძის აზრი იმის შესახებ, რომ სათადარიგო თანხის ნაწილი კერძო ქაღალდებში (რასაკვირველია, პროცენტიან ქაღალდებში; ეს ისედაც ცხადია!) ინახებოდეს. ამ აზრის წინააღმდეგი იყო ბანკის გამგეობა, რომელსაც, სხვათა შორის, ის მოსაზრება მოჰყავდა, რომ კერძო ქაღალდების ყიდვა სპეკულიაციაში ჩაითრევს ბანკს და მისთვის საშიში იქნებაო. ამ რიგად ორი აზრი გამოითქვა და ჩვენ არც შევუდგომივართ არსებითად იმის განხილვას, რომელია სასარგებლო და რომელია მავნებელი. შესაძლებელია, ვლ. მიქელაძის აზრი უფრო სასარგებლო გამოდგეს, თუნდაც ფინანსთა სამინისტრო იყოს ამის წინააღმდეგი.

ბ. ვლ. მიქელაძე შემდეგ გაკვირვებით გვეკითხება—საიდან გაიგეთ სამინისტროს აზრი ამ საკითხის შესახებაო; „რუსკ. ვედომ.“-ში მე ვერ ვიხილე ვერაფერი ამის გამოო.

„რუსსკი ვედომ.“-ში (№ 18) სამინისტროს განზრახულებათა შესახებ ძლიერ ცოტა ცნობებია; მაგრამ ამ განზრახულებათა **ხასიათი** ნათლად არის აღნიშნული; ჩვენ სიტყვა-სიტყვით არ გადმოგვიღია ის ცნობები, მხოლოდ განვუზიარეთ მკითხველთ ჩვენი შთაბეჭდილება. ხსენებულ გაზეთში სწერია: „უკანასკნელ წლებში ბირჟაზე გაჩნდა მრავალი სადივიდენდო ქაღალდი, რომელნიც სპეკულიაციის საგნად გახდნენ... მალე ამ ქაღალდების ფასებმა დაიწიეს და ბევრი ბანკი გაჭირვებაში ჩავარდა... ბანკების პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ საშიშ ოპერაციებს ახმარებდნენ სხვა-და-სხვა თანხებს... საქმე იქამდის მივიდა, რომ საადგილ-მამულო ბანკებიც, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ სპეკულიაციასთან, თავიანთ თანხებს ხანდახან **არა საიმედოთ** ინახავენ“.

ჩვენ გვგონია, ეს უკანასკნელი ადგილი იმასაც შეეხება, რომ ბანკები სათადარიგო თანხას კერძო %%-ან ქაღალდებში ინახავენ; ასე გვგონია იმიტომ რომ ფინანსთა სამინისტროს განზრახვა აქვს, სხვათა შორის, ამ თანხების შენახვის შესახებაც გამოსცეს ახალი წესი; ჯერ-ჯერობით-კი ხარკოვის ბანკის წესდებას დაემატა მუხლი, რომლის ძალით ბანკი ვალდებულია სათადარიგო თანხის ქაღალდები უთუოდ სახელმწიფო ბანკში შეინახოს.

საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ გაზეთების ცნობები ამ საგნის შესახებ ჯერ მცირეა და ნამდვილად არ ვიცით, რას აპირებს სამინისტრო; მხოლოდ ის ცხადია, რომ ახალის ღონისძიებებით მას განზრახვა აქვს აღნიშნოს ისიც, თუ როგორი უნდა შეინახოს ბანკმა თანხების სარგებლიანი ქაღალდები, რათა სპეკულიაციისაგან უზრუნველ ჰყოს ისინი. ამიტომ ვთქვით ჩვენც, რომ, „როგორც სჩანს, სამინისტროც იმ აზრის ყოფილა“-თქო.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

4 თებერვალი

ლონდონი. კიტჩენერი პრეტორიიდან იტყობინება, რომ 2 თებერვალს ცხენოსანთა რაზმმა, რომელიც მტერსა ზვერავდა, უხერხულ ადგას აუტეხა ბრძოლა ბურების ძლიერ რაზმს; თერთმეტი მოჰკლეს და ორმოცი დასჭრეს, ვიდრე ჯარები სიმაგრეებს მოეფარებოდნენ.

რთულისონის რაზმი, რომელიც ბურებს დაედევნა, გზაში იმყოფება.

28 იანვარს სამხრეთ-აფრიკის პოლიციის რაზმი გარტონდერგენთან ახლო უფრო მრავალრიცხოვანმა მტერმა განდევნა ზარალით.

ლოძი. კოლიუშკაში ცენტრალური ვოკზალის აშენებას შეუდგებიან მომავალ წელს. ხარჯი მილიონამდის არის.

იაროსლავლი. ჩრდილოეთ რუსეთის მერძევეთა კრების მუშაობა დაიწყო; კრებას ორასზე მეტი წევრი ესწრება.

ნიჟნი-ნოვგოროდი. რომადონოვის გზის ლიანდაგზე მთა ჩამოწვა, ნიჟნ. ნოვგ—დან 5 ვერსზე. შემდეგშიაც მოსალოდნელია ამისთანა შემთხვევა, რადგან მთას არ ამაგრებენ. ზვავი მდინარე ოკაში ცვივა, სადაც ამგვარად რიყე ჩნდება; გემების პატრონებს ეშინიათ, რომ გაზაფხულზე მდინარე ამ ჩამოცვენილი მიწის გამო სხვა მხარეს გადავარდება, რაც გააძნელებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გემების სიარულს. ამაზე საბირჟო კომიტეტს ქაღალდი მისცეს.

პარიზი. გაზეთ „სოლეილ“-ში დაბეჭდილია გრაფ ბონვილიეს ხელ-მოწერილი წერილი ზოგიერთ საზღვარ-გარეთელ გაზეთების გალაშქრების გამო ფინანსთა მინისტრის ვიტტეს წინააღმდეგ. წერილში ნათქვამია: „ეს გამოლაშქრება გამოიწვია ფინანსიურმა კოალიციამ, რომელსაც არ შეუძლიან აპატიოს რუსის მინისტრს, რომ იმან დაიპყრო ბერლინში რუსეთის ფასიან ჰქაღალდების ბაზარი და რუსულ ფულს ის სიმაგრე დაუდვა, რომელიც მას დიდი ხნის არა ჰქონია“.

პარიზი. დილის სხდომაზე პალატამ კანონიერად არ ჩასთვალა გალონის სუპრეფექტის დიუშენუს არჩევა: დიუშენუმ სამსახურს თავი დაანება არჩევნებამდის ნახევარის საათის წინად. კამათის დროს ვალდეკ-რუსსომ განაცხადა, რომ მოქალაქეს, რომელსაც სამართალმა სამოქალაქო უფლებანი აჰხადა, არ შეიძლება ნება მიეცეს, რომ თავის კანდიდატურა წარმოადგინოს. ეს განცხადება ეხება იმ პირთ, რომელნიც უმაღლესმა სასამართლომ გაასამართლა.

ლონდონი. კლიპრიველთან ბრძოლის დროს, რომელიც კიტჩენერის დეპეშაშია მოხსენებული, 150 კაცი ინგლისის ცხენოსანის ჯარისა დაამარცხეს; მოკლულია 12, დაჭრილი 48.

ირბიტი. გამოირკვა, რომ პლოტნიკოვების ფირმა ამოძრავებს ახალი ჯურის მსუბუქ გემებს მგზავრთათვის ომსკისა და სემიპალატინსკის შუა კვირაში ერთხელ, ხოლო ბიისკსა და ომსკს შორის კვირაში ორჯელ. „სტეპნოი“ მხრის ვაჭრობა-მრეწველობისათვის მგზავრთა გემების განუწყვეტელ მოძრაობას ომსკსა და სემიპალატინსკის შორის დიდი მნიშვნელობა ექნება.

კოვნო. ვილკში, კოვნოს ახლო სამმა ნიღაბაფარებულმა ბოროტ-გამზრახველმა შეამტვრიეს ფანჯარა და შეცვივდნენ კსენზ ნოვიცკის სახლში, შეჰკრეს ისიც მისი მოსამსახურეც და წაიღეს 2,500 მან. მეტი.

ვარშავა. ამ მხარეს ბევრი გლეხ-კაცობა მოდის მოუსავლობით დაზარალებულ შუაგულ გუბერნიებიდან, რომ სამუშაო იშოვონ სახელმწიფო რკინის გზებზე.

მსწრაფად დამხმარებელი საზოგადოება შუამდგომლობს, რომ ყოველ წლიური სუბსიდია ქალაქისაგან გადიდდეს, რადგანაც საზოგადოების მოქმედება მატულობს.

ბაქო. 2 თებერვალს საბუნჩაში „ვოსტოკის“ ქარხანას, აგრეთვე ადამოვის, მირზოევის და თარხან—მოურავოვის ქარხნებს ცეცხლი გაუჩნდა. დაიწვა 17 კოშკი, ორი ბეღელი და ორი აუზი, სულ 59,000 მანეთისა.

სუმი. 4 თებერვალს პავლოვსკის საქმის გამო ორი დედაკაცი არ გაასამართლეს, რადგანაც ავად იყვნენ.

ნოვოჩერკასკი. ლოთობის წინააღმდეგ ოლქის სამზრუნველოს გარდაეცა 60,000 მანეთი, რომლიდანაც სამზრუნველომ დაუნიშნა ცხრა საოლქო კომიტეტს 44,000 მანეთი.

ტრიესტი. ტრიესტში მომხდარ უწესობის გამო, რომელმაც ამბოხების ხასიათი მიიღო, დეკრეტი გამოიცა, რომ შეაჩერონ მოქალაქეთა საზოგადო უფლებანი. ქალაქში და იმის მიდამოებში საზოგადოების წეს-რიგის და მშვიდობიანობის დასაცველად სამხედრო ზომები მიიღეს. წუხანდელმა ღამემ და დღევანდელმა დილამ მშვიდობიანად ჩაიარა; მაღაზიები ისევ გააღეს, ტრამვაიმ მოძრაობა დაიწყო. ღამე დაატუსაღეს რამდენიმე კაცი, რომელთაც ანარხიზმს სწამებენ. პროვინციაში მშვიდობიანობაა.

ჟიტომირი. გადაწყვეტილია შეაერთონ ჟიტომირის საქველმოქმედო საზოგადოება და შრომის სახლთა სამზრუნველო. შეერთებულ საზოგადოებას ექნება ღონისძიება შესამჩნევად გააფართოვოს და გაცხოველოს თავის ქველ-მოქმედება.

პეტერბურგი. 4 თებერვალს, ნაშუადღევის 2 ს. 45 წ. ხელმწიფე იმპერატორმა, დიდმა მთავრებმა და დიდმა მთავრინებმა მაკოვსკისა და ვოლკოვის სურათებისა, ეტიუდების და ნახატების გამოფენა ინახულეს. ეს გამოფენა მხატვრობის საიმპერატორო აკადემიის დარბაზშია გამართული.

5 თებერვალს

პეტერბურგი. მიწის ძვრისაგან დაზარალებულ შემახელების დასახმარებლად ხელმწიფე-იმპერატორის ბრძანებით, გადაიდო ხაზინიდან 50 ათასი მანეთი. გამოცხადებულია შემდეგი უმაღლესი ბრძანებანი: დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის სასახლის მმართველს გენერალ ბარანოვს უმაღლესად ებრძანა მისი უმაღლესობის კარის ჰოფმეისტერად ყოფნა; სახელმწიფო საბჭოს სტატს-სეკრეტარს თანაშემწეს მაქსიმოვსკის ებოძა იუსტიციის სამინისტროს კონსულტაციის წევრობა; შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადო საქმეთა დეპარტამენტის დირექტორს ტროპოვს ტავრიდის გუბერნატორობა; კოვნოს გუბერნატორს როსტოვცევს ტროპოვის თანამდებობა; სუვალკის გუბერნატორს ვატცელს კოვნოს გუბერნატორობა.

კავკასიის გამგებლად ნამყოფის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის სასახლეში გაიმართა საუზმე, რომელზედაც მიწვეულნი იყვნენ ქართველ თავად-აზნაურობის წარმომადგენელნი. საუზმეზე გარდა უავგუსტოესს მასპინძლისა, დაესწრნენ დიდი მთავრები. ტფილისის თავად-აზნაურობის მარშალმა თავადმა მელიქიშვილმა წაიკითხა ადრესი. დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოოზის ძემ შემდეგის სიტყვებით სთქვა მადლობა: „ვერ ვპოულობ სიტყვებს მადლობა გითხრათ ადრესში გამოთქმულ გრძნობებისათვის. მოსკოველ და პეტერბურგელ თავად-აზნაურობის დახვედრისა, და ხელმწიფე-იმპერატორის სიტყვები დაგარწმუნებთ თქვენ, რომ მის გულთან ახლო ხართ და არ გარჩევთ თქვენ რუსეთის თავად-აზნაურობაში და ხალხში. წინაპრებსავით კარგი ქართველები დარჩით და ამასთანავე იყავით კარგი რუსებიც. უანდერძეთ შვილებს გრძნობა და ერთგულება, როგორც გიანდერძათ თქვენ თქვენმა მამებმა. მე, ყოფილი გამგებელი კავკასიისა, დარწმუნებული ქართველების ერთგულებაში თვით-მპყრობელ ტახტისადმი და რუსეთის ერისადმი, და თქვენ კარგად იცით, როგორის სიყვარულით გეპყრობით თქვენ; ასევე უყვარხართ ყველა ჩემ შვილებს და ვუანდერძებ მათ გადასცენ ეს სიყვარული თავიანთ შვილებს. ერთხელ კიდევ გმადლობთ თქვენ მიერ გამოთქმულ გრძნობებისათვის“. დიდმა მთავრინამ მარიამ გიორგის ასულმა საკუთარის ხელით დაურიგა თ. თ. ვაჩნაძეს, ამილახვარს და გენერალ-მაიორ საგინაშვილს საბერძნეთის ორდენები მაცხოვრისა.

თევზეულობის გამოფენა ინახულა დიდმა მთავარმა გიორგის მიხეილისძემ.

ჩინეთის საელჩოში გარდაიცვალა ჩინეთის ელჩი იანგ-იუ.

დაინიშნენ: აღმოსავლეთ ციმბირის მსროლელთა პოლკის კამანდირები: გენერალ-მაიორი ხორუჟენკოვი 45 დივიზიის კამანდირად; გენერალ-მაიორი მოლდი მეორმოცე დივიზიის მეორე ბრიგადის კამანდირად; გენერალ-მაიორი დამბროვსკი მე-32 პირველ დივიზიის კამანდირად; მოსკოვის გვარდიის პოლკის კამანდირი ხვასტუნოვი აღმოსავლეთ ციმბირის მსროლელთა პირველ პოლკის კამანდირად; ოფიცერთა საკავალერიო სკოლის გენერალ ლეიტენანტი ალახიბეგ-აფშაროვი მის უმაღლესობის კავალერიის გენერალ-ინსპექტორის მინდობილებათა გენერლად.

5 თებერვალი.

ბიისკი. გუბერნატორს თათბირი ჰქონდა იმის გამოსარკვევად, თუ რამდენი პური ან სათესლე ხორბალი იქნება საჭირო.

მარიუპოლი. აღმოაჩინეს და დაიჭირეს ქურდების ბრბო, რომელიც მაღაზიებს სტეხდა და საქონელი მიჰქონდა. 5000 მანეთზე მეტის საქონელი იპოვნეს და დაუბრუნეს მეპატრონეებს.

მოსკოვი. მეღვინეთა და მევენახეთა კრებაზე, რომელიც 10 თებერვალს გაიხსნება, ჩაეწერა 125 წევრი. 6 თებერვალს მოხდება მოსამზადებელი სხდომა.—პოლიციამ აღმოაჩინა ქურდების ბინა, დაჭერილია 6 ქურდი.—საგუბერნიო სამმართველომ შეჰკრიბა სტატისტიკური ცნობები შინად მრეწველობის მდგომარეობაზე გუბერნიაში; ამ ცნობების მიხედვით სამაზრო გამგეობა შეადგენს მოხსენებებს იმის შესახებ, თუ რა დახმარების აღმოჩენა შეუძლია სამაზრო ერობებს შინად-მრეწველობისათვის.

პოლტავა. ქალაქის და ერობის წარმომადგენელთა კომისიამ მიიღო კორელენკოს წინადადება, რომ პოლტავაში დაარსებულ იქნას გოგოლის სახელობაზე ხელოვნებისა და ლიტერატურის საზოგადოება.

ასტრახანი. უმაღლესად ნაბრძანებია აკრძალულ იქნას წითელის თევზის ჭერა კასპიის ზღვის ჩრდილოეთით, სანამ ზღვაზე ყინული არ დაიძვრის.

შემახა (შემთხვევით). ძნელი ასაწერია შემახელების უბედურება: ქალაქში სამი ათასი სახლი იყო და 20—30-ს გარდა, სულ დაინგრა და ქვეშ მოიტანა რამდენიმე ათასი კაცი. ნანგრევების ქვეშიდან ჯერ 800-მდე გვამი ამოიღეს. ბევრნი აბანოებში დაიღუპნენ. ზოგიერთ აბანოების ნანგრევებ ქვეშ ორი დღე ყოფნის შემდეგაც იპოვეს ცოცხლები, მაგრამ ზოგნი შემდეგ დაიხოცნენ, ზოგნი მოასულიერეს. აბანოს ნანგრევების გათხრის დროს მამამ იცნო თავის ქალი ნანგრევების ქვეშ მოყოლილი. გათხრის დროს ნანგრევმა ხელმეორედ მოიტანა ქვეშ საბრალო. ქალაქში საშინელი სუნი დგას გახრწნილ გვამთა. ქუჩებში შინაურ პირუტყვთა მძოვრი ყრია. დაჭრილთ და დაშავებულთ მეიდანზე უხვევენ ჭრილობებს. განუწყვეტლივ მუშაობენ ხუთი ექიმი და ფერშლები. დროებითი ფიცრულია გაკეთებული. მრავალია დასახიჩრებული. ძალიან ნაკლებად არის იარების შესახვევი მასალა და მომვლელნიც ცოტანი არიან. მცხოვრებლებმა ქუჩებში დადგეს კარვები, ფიცრულები და ფარდულები. სიცივე და სიმშილი ძალიან აწუხებს ხალხს მიწის ძვრა კიდევ არის, მხოლოდ სუსტი. შემახის გზაზე მრავალი ურმები მიმოდის ხალხითა და სანოვაგით სავსე. ბაზარი იწვის. ბევრმა ასი ათასობით იზარალეს. ნაღდი ფულიც ბევრს დაეწვა. რამდენიმე მილიონით აზარალა მიწის ძვრამ. დაუყოვნებლივ საჭიროა შემწეობა, რომელსაც შემახელები სთხოვენ მთელ რუსეთს. დაეხმარეთ ამ უბედურთ. ყოველი შემწეობა, რაც უნდა პატარა იყოს იგი, სარგებლობას მოუტანს და შეუმსუბუქებს უბედურთა მდგომარეობას. განუწყვეტლივ ყინვლავს. შემახის მიდამოებში დაზარალებულია მიწის ძვრისაგან ოცდა-ცამეტი სოფელი; მოკლულებიც და დაჭრილებიც არის; ჯერ ცნობები არ არის შეკრებილი. ამბობენ, რომ სოფელ მარაზის ახლო, შემახიდან 25 ვერსის მანძილზე სამ ადგილას გამოჩნდა ვულკანი, რომელიც დაუნახავთ ელექტრონის სვეტის მსგავსად. თორმეტი ვერსის სიშორეზე. ვულკანები ახლა ჩამქრალა.

ბაქო. დღეს შემახაში გაიგზავნა მეორე ტრანსპორტი პურისა და სხვა უსაჭიროესს საგნებისა, რომელიც ნაყიდია დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტის ფულით. ნავთის მწარმოებელთა საბჭომ გადასცა კომიტეტის განკარგულებაში ორი ექიმი, ერთი მოწყალების და, ფერშალი და დიდ-ძალი სახვევი მასალა. კომიტეტმა თავის მხრივ გაგზავნა სამი ექიმი და ოთხი ფერშალი ქალი. სალიანის პოლკმა გაგზავნა შემახაში რაზმი სურსათით შემახის გარნიზონის დაშავებულ და დაზარალებულ ჯარის-კაცთა საშველად. ამ გარნიზონის ოფიცრების ოჯახებს გადმოიყვანებენ დროებით ბაქოში.

ბაქო. ხვალ კომიტეტის ხუთი წევრი მიდის შემახაში დახმარების ორგანიზაციისათვის. კომიტეტი შუამდგომლობს მთავრობის წინაშე კავკასიის ყველა ქალაქებში ხელის მოწერის გამართვის ნებართვას.

ბაქო. განზრახვაა შეადგინონ სახალხო გასართობების საზოგადოება ქარხნის მუშებისათვის.

გამომცემელი და დრ. რედაქტორი **ხლ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 1 თებერვალს

ვექსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ზე	93,95	
ბერლინზე 100 მარკაზე	—	
პარიზზე 100 ფრანკზე	—	
ლონდონზე ჩეკები	94,65	
ბერლინზე „	46,30—46,27½	
პარიზზე „	—	
ბირჟის დისკონტი	5—7%	
4% სახელმწიფო რენტა	96⅛	გაყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—	
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა	—	
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	477½	„
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	386	„
6% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	296	„
3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	—	
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	89	„
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	89⅝	„
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—	
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ	—	
5% გირავნ. ფურც. [illegible] ბანკისა.	—	

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის)

ა) **ტფილისიდან ბათუმისაკენ:** 1) საფოსტო მატარებელი გადის საღამოს 7 ს. 45 წ. (8 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო გადის დილის 6 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ პარასკეობით) ნაშუადღევის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.); 2) საფოსტო—გადის დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.). 3) სამგზავრო—გადის საღ. 9 ს. 36 წ. (10 ს. და 34 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ).

ბ) **ქუთაისიდან ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.) 2)—შუადღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ქუთაისიდან შორაპნამდე—გადის ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

გ) **ბათუმიდან ტფილისამდე და ბაქომდე** 1) საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო მატარ. გადის დილის 8 ს. 58 წ, (9 ს. 56 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 3 ს. 32 წ. (4 ს. 30 წ.) (ამავე მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მიმავალ მატარებლით წასვლა რიონიდან); 2) გადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენჰაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი.

ახალი წიგნი

საქართველოს წმიდანები

შედგენილი სასულიერო სკოლებისთვის
გ. იოსელიანის-მიერ

მოწონებულია საქართველოს საეპარქიო სასწავლებლის რჩევისაგან.

იყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანცელარიაში. (10—2)

ქუთაისში, ვ. ბეჟანეიშვილის მაღაზიაში, იყიდება „ცნობის ფურცელი“-ს №№-ბი, თითო №-რი 3 კ. დამატებით—5 კაპეიკ

ქ. ბათუმში

იყიდება გაზეთი „ცნობის ფურცელი“

სპ. ჰელიძის წიგნის მაღაზიაში, შერემეტიევის ქუჩაზე, ნურიის ბაზარში, სასწორის პირდაპირ. (0—9)

Дозволено цензурою Тифлисъ, 5 Февраля 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.